


ხუბუას ფინალურის კონსპექტი ანუ



იურისპრუდენცია როგორც მეცნიერება

არის თუ არა იურისპრუდენცია მეცნიერება

თქვენ გგონიათ საკითხს დავიწყებ ფრაზით : “იქ, სადაც ორი იურისტია სამი აზრია.”



NO.

იურისპრუდენცია არ არის ზუსტი მეცნიერება. ზუსტი მეცნიერებისგან განსხვავებით სამართალში არ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები. იურისპრუდენციაში პრობლემა არა პასუხგაუცემელი კითხვების არსებობა, არამედ მრავალი განსხვავებული პასუხის არსებობაა. თითოეული მათგანი შეიძლება იყოს სწორი და სამართლიანი. სამართალში არსებობს რამდენიმე სწორი გადაწყვეტილება. იურისტებისთვის მთავარია მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული არგუმენტაცია. არისტოტელეს აზრით, სამართალი არის ხელოვნება ან გონიერება, მაგრამ არა მეცნიერება. სამართლის შესწავლა შეუძლებელია იურიდიული მეცნიერების გარეშე. ქცევის წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში სრულდება, თუ ადრესატისთვის გასაგებია. სამართლის მეცნიერება არ არის სამართლის შეფარდების იდენტური. შემფარდებელი იურისტი, ძირითადად ორიენტირებულია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტასა და პოზიტიურ ნორმაზე. ხოლო თუ პოზიტიური კანონმდებლობა ზუსტ განმარტებას არ იძლევა, მაშინ სასამართლო პრაქტიკა გაუწევს დახმარებას შემფარდებელს. სამართლის შეფარდებისგან განსხვავებით, იურიდიული მეცნიერება მოიპოვებს ახალ ცოდნას, ავლენს სამართლებრივი სინამდვილის განვითარების საერთო კანონზომიერებებს. ნორმატიული მასალის გარდა მეცნიერ-იურისტი იკვლევს სამეცნიერო ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკას და აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

იურისპრუდენციის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

განასხვავებენ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.

საბუნებისმეტყველო საგნების ძირითადი მეთოდია გამოცდილება(ემპირია) დაკვირვება და ექსპერიმენტი. მისგან განსხვავებულია ანალიტიკური მეცნიერება (მათემატიკა,ლოგიკა და სხვა)ანალიტიკური მეცნიერების საგანი არ არის წინასწარ მოცემული, ის თვითონ აყალიბებს აქსიომებს და იკვლევს მის მიერვე შექმნილ სიმბოლოებს. ჰუმანიტარული მეცნიერება სწავლობს ადამიანის სულიერ მოღვაწეობა-საქმიანობას. საბუნებისმეტყველო მეცნიერება უკვირდება ახსნას, ჰუმანიტარული-გაგებას. ჰუმანიტარული მეცნიერების საგანი ძირითადად კონცენტრირებულია ტექსტის გაგებაზე, ამ მეთოდს ეწოდება ჰერმენევტიკა. იურისპრუდენცია მიეკუთვნება ჰერმენევტიკულ მეცნიერებას, რამდენადაც სამართალი ტექსტის სახით არის მოცემული. იურიდიული ჰერმენევტიკა არის იურიდიული ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგების მეთოდების ერთობლიობა. ცალკე გამოყოფენ სოციალურ მეცნიერებებს, რომლებიც იკვლევენ ადამიანის თანაცხოვრების ფორმებს.

იურისპრუდენციას ახასიათებს მეცნიერების ტიპური ნიშნები

- 1)იურისპრუდენცია სისტემურად აანალიზებს შემეცნების ობიექტს;
- 2)იურისპრუდენციას ახასიათებს ობიექტურობა;
- 3)იურიდიული სამეცნიერო კვლევის პროცესში მიღებული შედეგი გადამოწმებადია
- 4)იურისპრუდენცია საკითხს ლოგიკურად და რაციონალურად უდგება.
- 5)იურიდიული მეცნიერება განასხვავებს ფაქტს,ვარაუდს,ფაქტის ანალიზსა და ნორმატიულ მსჯელობებს.

იურისპრუდენცია განიხილება როგორც ნორმატიული,სოციალური(ემპირიული) და ტექსტის მეცნიერება.

იურისპრუდენცია ნორმატიული მეცნიერებაა, რამდენადაც ის შეისწავლის ნორმებს. სამართლის მეცნიერების საგანია ნორმატიული წინადადების სახით ჩამოყალიბებული ქცევის სავალდებულო წესები. ადამიანთა ქცევას არეგულირებს სხვა ნორმატიული სისტემებიც (მორალი,ჩვეულება)

სამართლის სოციოლოგია სწავლობს სოციალური სინამდვილის მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც სამართალშემოქმედების,ისევე შეფარდების პროცესზე. სოციალური კანონზომიერებები განსაზღვრავს სამართლის რეგულაციურ შესაძლებლობებს.

იურისპრუდენცია, სოციალური მეცნიერებებისგან განსხვავებით, არის ნორმატიული და არა დესკრიფციული მეცნიერება. სამართლის მეცნიერება შეისწავლის ნორმას როგორც ჯერარსულ წინადადებას. ნორმა აღწერს არა იმას, რაც “არის” არამედ იმას, რაც “უნდა იყოს”.

იურისპრუდენცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტექსტის მეცნიერება. სამართლის

მეცნიერება შეისწავლის სამართლის ნორმას, სასამართლო გადაწყვეტილებას და სამართლის შეფარდების სხვა აქტებს, რომელიც ენობრივი სახითაა მოცემული. ამ თვალსაზრისით, იურისპრუდენციას ხშირად განმარტავენ როგორც ჰერმენევტიკულ მეცნიერებას.

სამეცნიერო კვლევის მეთოდები

მეთოდი ეწოდება იმ წესების სისტემას, რომელიც მიმართულია მეცნიერული კვლევის განსაზღვრული მიზნისკენ, სამეცნიერო კვლევა ხორციელდება რაციონალური შემეცნების გზით, ლოგიკური წესების საფუძველზე. მეთოდზე დამოკიდებულია სამეცნიერო კვლევის შედეგი.

სამეცნიერო მეთოდების დაყოფა შეიძლება შემდეგ მეთოდებად : ახსნისა და გაგების, ნომოთეტური(რომელიც აყალიბებს მეცნიერების კანონებს), და იდიოგრაფიული (აღწერილობით), დედუქციური და ინდუქციური. გარდა ამისა ანალიტიკური, სინთეზური, ისტორიულ-

გენეტიკური, ინსტიტუციონალური, აქსიომატური, და ა.შ მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია საკვლევ თემაზე, ხოლო თუ საკვლევ თემა სცდება ერთი მეცნიერების ფარგლებს მაშინ გამოიყენება ინტერდისციპლინური მეთოდები. ემპირიული მეცნიერებისგან განსხვავებით, იურიდიული მეცნიერება ნაკლებად მიმართავს პრაქტიკულ ექსპერიმენტებს. ეფუძნება კანონმდებლობას, სამეცნიერო ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

სამართლის მეცნიერების ფუნქციები

სამართლის მეცნიერება შეისწავლის მართლწესრიგის არსსა და ფუნქციას, მართლწესრიგის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგად ტენდენციებს. სამართლის სისტემის შინაგან წინააღმდეგობებს და მათი დაძლევის გზებს. სამართლის მეცნიერება ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას : იურისტების განათლება, იურიდიული მიმდინარეობებისა და მოძღვრებების ანალიზი, საკუთარი მოსაზრებების წამოყენება მართლწესრიგის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების თვალსაზრისით. სამართლის მეცნიერება კავშირშია იურიდიულ პრაქტიკასთან, მეცნიერიც და პრაქტიკოსიც აანალიზებს პოზიტიური სამართლის სისტემას. მეცნიერებაც და პრაქტიკაც სწავლობს ენობრივი ფორმით მოცემულ ქცევის წესს. მათთვის დამახასიათებელია სისტემური აზროვნება. სამართლის შეფარდებისას იურისტმა უნდა მოიცვას კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და თეორია.

სამართლის ცნება და ნიშნები

სამართლის ცნება

სამართლის ცნების შესახებ არსებული შეხედულებები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად : 1)შეხედულებები, რომელიც აქცენტს აკეთებს სამართლის შინაარსობრივ,დირეხულებით ასპექტებზე და 2)შეხედულებები, რომელიც მთლიანად კონცენტრირებულია სამართლის ფორმალურ ნიშნებზე.

შინაარსობრივი ცნების თანახმად, სამართალი შესასრულებლად სავალდებულოა იმიტომ, რომ : 1)ადგენს საზოგადოდ კარგ და მისაღებ ქცევის წესს; 2)სამართალი გამომდინარეობს ბუნებითი ან გონითი კანონიდან; 3)სამართალი თანაბრად ზღუდავს თითოეულის თავისუფლებას.

სამართლის ფორმალური განმარტების თანახმად, იურიდიულ მოთხოვნათა სავალდებულოობას განსაზღვრავს ფორმა და არა ნორმის შინაარსი. იურიდიული ხასიათისაა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მოთხოვნა, რომელიც მიღებულია სათანადო წესების დაცვით. სამართლის ფორმალურ-შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით გამოყოფენ ბუნებით-სამართლებრივ და პოზიტიურ ცნებებს. ბუნებითი სამართალი ანტიკური პერიოდიდან განიხილებოდა როგორც კარგი და ცუდი ქცევის შეფასების მასშტაბი. პოზიტიური სამართალი განმარტებულია როგორც სოციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში. ვიწრო გაგებით, პოზიტიური სამართალი მოიცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს. ფართო გაგებით, პოზიტიური სამართალი მოიცავს საზოგადოებაში მოქმედ ყველა ნორმას.

სამართლის პოზიტიური ცნება

პოზიტიური ცნების თანახმად სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესთა ერთობლიობა. პოზიტიური თეორია განასხვავებს სამართალს როგორც “ის არის” და სამართალს როგორც “ის უნდა იყოს” პოზიტიური ცნება მიჯნავს მორალსა და სამართალს - მორალურობა არ განსაზღვრავს არც სამართლის მოქმედებას არც მის სავალდებულოობას. იურიდიული პოზიტივიზმის თანახმად, სამართლის ნორმას ახასიათებს შემდეგი ნიშნები : 1)ნორმა დადგენილია სათანადო უფლებამოსილების მქონე პოლიტიკური და სახელმწიფო ორგანოს მიერ;

2)სამართლის ნორმა სოციალურად ქმედითია,რამდენადაც ნორმის ადრესატები მას ან ნებაყოფილებით იცავენ, ან იძულების წესით. 3)სამართლის ნორმას,როგორც ქცევის სავალდებულო მოდელს აღიარებენ როგორც სახელმწიფო ორგანოები, ისე მოქალაქეები. სამართლის წმინდა თეორია აანალიზებს ნამდვილ და არა იდეალურ “მართალ სამართალს” კელზენის მიხედვით, უმართლობა არის არა სამართლის ნეგაცია, არამედ სამართლის პირობა. სამართალი იძულებითი წესრიგია, ისევე სამართლის ნებისმიერი პრობლემა წესრიგის პრობლემაა. სამართლის თეორია არის პოზიტიური და სამართლის მაქსიმალურად ზუსტი ანალიზი.

სამართლის შემოქმედების საფუძველია ძირითადი ნორმა. იგი არ განსაზღვრავს სამართლის შინაარსს და არც სამართლიანი ნორმაა. ძირითადი ნორმა მოითხოვს, რომ იძულება განხორციელდეს კონსტიტუციის და მის შესაბამისად მიღებულ ნორმების საფუძველზე. სამართლის პოზიტიური ცნება შეხვდა წინააღმდეგობებსაც :

1)იურიდიული პოზიტივიზმი აღიარებს სამართალშემოქმედებაზე სახელმწიფოს სრულ მონოპოლიას. სამართალი განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმათა ერთობლიობა.

2)სამართლის პოზიტიური ცნება გვერდს უვლის სამართლიანობის საკითხს - სამართლებრივია ის ნორმაც, რომელიც ეწინააღმდეგება მორალის ან სამართლიანობის პრინციპებს.

3)სამართლის პოზიტიური ცნება ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მხრიდან სამართლის აღიარების ფაქტს.

სამართლის პოზიტიური ცნების წინააღმდეგ არსებული უმართლობის არგუმენტი ცნობილია რადბრუხის ფორმულის სახით, რომლის მიხედვითაც, პოზიტიურ სამართალს უნდა მიენიჭოს უპირატესობა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შინაარსობრივად უსამართლოა. უფრო მნიშვნელოვანია სამართლებრივი დავის დასრულება, ვიდრე ის, რომ მას ჰქონდეს სამართლიანი და მიზანშეწონილი დასასრული. მართლწესრიგის ყოფიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სამართლიანობა.

ბუნებით-სამართლებრივი ცნება

ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ეს პრინციპები პოზიტიურ სამართალზე მალა დგას და ამიტომ ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთისნება და გონი. ამიტომ განასხვავებენ ანთროპოლოგიურ, რელიგიურ და რაციონალურ ბუნებით სამართალს. იურიდიული პოზიტივიზმისგან განსხვავებით, ბუნებითი სამართალი არ გამიჯნავს მორალსა და სამართალს. სამართალი, პოზიტიური ნორმების გარდა, მოიცავს მორალის განსაზღვრულ პრინციპებს.

ბუნებითი სამართალი ვერ დაეფუძნება რელიგიას, რამდენადაც შეუძლებელია რწმენის რაციონალურად დასაბუთება. არ დასაბუთდება არც გონის მეშვეობით, რადგან გონი მხოლოდ აზროვნების ფორმალურ წესებს აყალიბებს და არ ეხება მის შინაარსს.

შეუძლებელია ფაქტის მსჯელობიდან (არსი) გამომდინარეობდეს ესა თუ ის ნორმა (ჯერარსი).

ბუნებითი სამართლის პრინციპების უარყოფის დროს გამოირიცხება მათ მიერ პოზიტიური სამართლის ბოჭვის შესაძლებლობაც. ბუნებითი სამართალი არ შეიძლება იყოს პოზიტიური სამართლის შეფასების კრიტერიუმი. ბუნებითი სამართალი ღიად ტოვებს მისი მოქმედების საკითხს, იმ შემთხვევაში პოზიტიური სამართლის ნორმა არ შეესაბამება ბუნებით სამართალს, იგი მაინც ინარჩუნებს იურიდიულად სავალდებულო ძალას, მიუხედავად იმისა ეწინააღმდეგება თუ არა მორალს.

სამართლის ნიშნები

სამართალს ახასიათებს ნიშნები :

- 1) სამართალი ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, სოციალური თანაცხოვრების რეგულირების მიზნით;
- 2) სამართლის ნორმა, როგორც ქცევის სავალდებულო წესი ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე;
- 3) სამართალს ახასიათებს მოქმედების პრეტენზია;
- 4) სამართლის ნორმას ახასიათებს იძულებით განხორციელების შესაძლებლობა;



problem?

ამ ნიშნების საფუძველზე სამართლის განმარტება შეგვიძლია, როგორც ნორმათა ერთობლიობის, რომლის დაცვაც სახელმწიფო იძულებითაა უზრუნველყოფილი.

სამართალი როგორც ჯერარსი

სამართალი ჯერარსული მოვლენაა, ადგენს ქცევის სავალდებულო მოდელს, რომელიც ადრესატმა უნდა შეასრულოს. ნორმა არის პრესკრიფციული, ხოლო ბუნების კანონი დესკრიფციული ხასიათის. ბუნების კანონი გამომდინარეობს არსიდან, აღწერს მხოლოდ იმას, რაც ნამდვილად ხდება ბუნებაში.

ნორმატიული და დესკრიფციული კანონები ერთმანეთისგან განსხვავდება :

1) დესკრიფციული მსჯელობა ჭეშმარიტია ან მცდარი, ნორმატიული მსჯელობა არც ჭეშმარიტია, არც მცდარი. ნორმატიული შეიძლება იყოს მიზანშეწონილი და მიზანშეუწონელი, სამართლიანი, უსამართლო და ა.შ

2) იურიდიული კანონი ლოგიკურად არ გამომდინარეობს ემპირიული ფაქტიდან. არსიდან შეუძლებელია ჯერარსის წარმოება. საბუნებისმეტყველო მეცნიერება აკვირდება ბუნებას. სამართალში კი - კანონმდებელი თავად წყვეტს, თუ რომელი კანონია სასურველი და ადგენს, რომ “ასე უნდა იყოს”. მისი სავალდებულოება ეფუძნება იურიდიულად დადგენილ ნორმატიულ მოთხოვნებს.

ბუნების კანონის უარყოფა შესაძლებელია, თუ მისი საწინააღმდეგო მოვლენა მოხდება. ამ დროს ბუნების კანონი ხელახლა ყალიბდება. სამართლის ჯერარსული ნორმა კი ინარჩუნებს სავალდებულოებას მისი დარღვევის შემთხვევაშიც.

სამართლის ნორმების უმრავლესობა ზოგადდებურია, ვრცელდება ყველა ერთგვაროვან ურთიერთობაზე. აბსტრაქტულობა და ზოგადობა სამართლის ცნების არსებითი, მაგრამ არა აუცილებელი ნიშნებია, კანონით შეიძლება მოწესრიგდეს ერთეული შემთხვევაც.

სამართალი როგორც ნორმატიული, ისე სოციალური სინამდვილის მოვლენაცაა. სამართალი არის საზოგადოებრივი რეალობა, რომელიც შეიძლება ემპირიულად იქნეს შესწავლილი.


სამართლის ადრესატები

სამართლის ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ადამიანებზე. სამართლის ნორმა მიმართულია ადამიანის გარეგანი ქცევისაკენ. მართლწესრიგი მოქმედებს ადამიანის განწყობისგან დამოუკიდებლად და ნაკლებად ინტერესდება სამართლის მიმართ პირის შინაგანი დამოკიდებულებით. ნორმის ადრესატი ქცევის წესს უნდა იცნობდეს წინასწარ, შეუძლებელია იმ ნორმის დაცვა, რომელიც ჯერ არ მოქმედებს. სამართალი მიმართულია

მომავლისკენ და განსხვავდება ბუნებითი კანონისგან, რომელიც ადგენს ბუნების “ქმედებებს” წარსულში. მართალია მოსამართლე წყვეტს წარსულში ჩადენილ თანაშაულის საკითხს, მაგრამ მთავარია, რომ ქცევა აკრძალული იყო იმ დროისთვის მოქმედი კანონით. კანონის უკუძალის აკრძალვა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ სამაღლებრივ პრინციპს.

სამართალი როგორც იძულებითი წესრიგი

სამართალს ახასიათებს ჰეტერონომიული სავალდებულობა. **სამართალი სავალდებულოა შესასრულებლად, მიუხედავად იმისა სურს თუ არა ეს ნორმის ადრესატს.**



problem?

სამართლის ჰეტერონომიული სავალდებულობა ნიშნავს, რომ :

1)სამართლის ნორმის მოთხოვნა არ არის უბრალო სურვილი ან რეკომენდაცია, ნორმა შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესია.

2)ნორმა სავალდებულოა, რამდენადაც განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ.

იძულება სამართლის ნიშანია. სამართალს ნებაყოფილებით იცავენ, თუმცა შეიძლება ნორმა იძულებითაც განხორციელდეს. სამართლის მოთხოვნათა “ნებაყოფილებითი” დაცვა აიხსნება იძულების შიშით. იძულებას არ არის სამართლის აუცილებელი ნიშანი.

საოჯახო სამართლის ნორმათა უმეტესობა მას გამორიცხავს. იძულება არ ახასიათებს ორგანიზაციულ ნორმებს. არსებობს ისეთი წესებიც, რომლებიც იძულებით უფრო ეფექტურად ხორციელდება, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი, მაგრამ ეს წესები სამართალს არ წარმოადგენს.

სამართლებრივი იძულება ხორციელდება განსაზღვრული პროცედურული ფორმის დაცვით. სამართლის შემფარდებელი არის დამოუკიდებელი და ნეიტრალური.

სამართალი როგორც სახელმწიფოს დადგენილი ნორმათა ერთობლიობა

სამართალი, განიმარტება როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმათა ერთობლიობა. სამართალშემოქმედება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შესასრულებლად სავალდებულო ნორმა.

სამართალი არ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმის ერთობლიობას. სამართალი არსებობდა სახელმწიფომდეც და მის გარეშეც. მაგალითად საეკლესიო სამართალი, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს. ბუნებითი სამართალი მოქმედებს პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად და ხშირად მის წინააღმდეგ ბუნებითი სამართალი ესწრაფვის სამართლიანი სიმართლის დამკვიდრებას.

ლეგალურობა და ლეგიტიმურობა

სამართალი ლეგიტიმურია რამდენადაც :

- 1) სამართლის ნორმა შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესია
- 2) სამართალი ეფუძნება ნორმის ადრესატების ნაწილის რწმენას, რომ ნორმა ლეგიტიმურია და შესასრულებლად სავალდებულო.

სამართალი ხასიათდება ფორმალური და მატერიალური ლეგიტიმურობით.

ფორმალური - სამართალი დადგენილია სათანადო პროცედურების დაცვით.

მატერიალური - სამართალი უნდა იყოს “მართალი” და “სწორი”

სამართალი მინიმუმ ფორმალური ლეგიტიმურობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ლეგიტიმურია ქცევა, რომელიც ეფუძნება უზენაეს ნორმას ან ღირებულებას, ლეგიტიმურობა შეიძლება იყოს ასახული კანონში, მაგრამ კანონიც შეიძლება იყოს არალეგიტიმური.

ლეგალურობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ფორმალურ-ორგანიზაციული პრინციპი. ლეგალურია ხელიუფლება, რომლის საქმიანობაც ხორციელდება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად.

ლეგიტიმურია ხელისუფლება, რომელიც ეფუძნება

- 1) მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას;
- 2) აღიარებს პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის საყოველთაოდ აღიარებულ და დამოკრატულ პროცედურებს.
- 3) ხორციელდება თანამედროვე სოც-პოლიტიკური გაერთიანებების მიერ.

სამართლის ფუნქციები

სამართლის რეგულაციური ფუნქცია

სამართალი განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებაა. სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მოქმედებს მხოლოდ საზოგადოებაში.

საზოგადოება დამოკიდებულია სამართალზე. სამართალი მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის ნაწილს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირითადი ნაწილი ავტონომიურად რეგულირდება.

სამართალი აყალიბებს სოციალური მართვის ნორმატიულ საფუძვლებს და ახორციელებს ორგანიზაციულ ფუნქციას. სამართალი ახორციელებს სოციალური მართვის ფუნქციასაც, როცა სუბიექტების ქცევას წარმართავს გარკვეული მიმართულებით. სამართალი ახორციელებს დაგეგმვისა და სოციალური პროგნოზირების ფუნქციას, ინდივიდის ქცევამ არ უნდა დაარღვიოს საზოგადოების ან სხვა ინდივიდის ინტერესები. ამ თვალსაზრისით სამართალი გვევლინება, როგორც სოციალური კონტროლის საშუალება.

სამართლის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალდარღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით. საზოგადოებრივი სტრუქტურა შეიძლება მთლიანად მოიშალოს თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება რეაგირების გარეშე დარჩება. სამართალი იცავს საზოგადოებას იურიდიული სანქციების მუქარით და ასრულებს რეპრესიულ ფუნქციას. სამართალი უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობას.

საზოგადოებაში უნდა მოქმედებდეს უსაფრთხოების განსაზღვრული რეჟიმი. სამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა უსაფრთხოებისა და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფა.

სამართალი ასრულებს სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას, უყალიბებს საზოგადოებას ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას.

იძულება სამართლის სპეციფიკური ფუნქციაა. იძულება ახასიათებს სხვა სოციალურ ნორმებსაც. სხვებისგან განსხვავებით სამართლებრივი იძულება ხორციელდება ორგანიზებულად და მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, სპეციალური წესების დაცვით.

წესრიგის ფუნქცია

წესრიგი წარმოადგენს წესებისა და კანონების შესაბამისად სტრუქტურირებულ მთელს, რომელიც შედგება ურთიერთდამოკიდებული ელემენტებისგან.

სამართლით დადგენილი წესრიგი უნდა იყოს ცვალებადი, მხოლოდ მუდმივი სრულყოფის პროცესში მყოფი წესრიგია ოპტიმალური. წესრიგის ძირითადი ელემენტი ადამიანია. წესრიგი არის მხოლოდ იქ, სადაც ადამიანი მოქმედებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობით. წესრიგი არ არის მხოლოდ იძულება. თავისუფლება და იძულება პოლიტიკურ წესრიგში ყოველთვის რეალიზებულია გონივრული პროპორციით.

სამართალი ასრულებს სოციალური მშვიდობის ფუნქციას. მართლწესრიგის ფუნქციაა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, სამართლის მოთხოვნათა საფუძველზე. სამართალი ხელს უწყობს განსხვავებული ინტერესების შერიგებას და ასრულებს კონფლიქტის მოწესრიგების ფუნქციას, ასევე მას აკისრია კონფლიქტების პრევენციის ფუნქციაც. მართლწესრიგი არის სახელმწიფოს პრეროგატივა და მის ერთიანობას სწორედ სახელმწიფოს ერთიანი ნება უზრუნველყოფს.

სამართლის უსაფრთხოება არის სამართლის ერთ-ერთი ფუნქცია. სამართლებრივი რეგულაცია უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთობათა პროგნოზირებად ხასიათს. ნორმის ადრესატმა წინასწარ უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან სამართლის ნორმა. სამართლებრივი უსაფრთხოება გამორიცხავს კანონსაწინააღმდეგო ქცევას - კანონი სავალდებულოა მოქალაქისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც.

სამართალი უნდა იყოს სტაბილური. კანონმდებლობის ხშირი ცვლილებისას ნორმის ადრესატებს უჭირთ წინასწარ განსაზღვრონ ქცევის სასურველი მასშტაბი, რაც უარყოფითად აისახება მართლწესრიგის საერთო მდგომარეობაზე. მხოლოდ სტაბილური კანონმდებლობის დროს შეუძლია მოქალაქეს იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

სამართალი იცავს სტატუს-ქვოს და ასრულებს კონსერვატორულ როლს. სამართალი უზრუნველყოფს პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით. დემოკრატია, არსებითად, არის პოლიტიკური ხელისუფლების ცვლა და ის უნდა შეიცვალოს კანონიერი და მშვიდობიანი გზით.

სამართლის ანთროპოლოგიურ-პერსონალური ფუნქცია

სამართლის ანთროპოლოგიურ ფუნქციას განსაზღვრავს ადამიანის არსება და მისი ეგზისტენციალური მოთხოვნილებები. სამართალი იცავს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ღირსებას.

სამართლის პერსონალური ფუნქცია მოიცავს მართლწესრიგით დადგენილ პიროვნების სტატუსს. იგი ეხება სოციალური ურთიერთობის მონაწილე ინდივიდს, იცავს მის პირად ავტონომიას და ცხოვრების ინტიმურ სფეროებს სხვა ინსტიტუტების უკანონო ჩარევისგან.

თავისუფლება სამართლის ერთ-ერთი ფუნქციაა, სამართალი აწესებს არა აბსოლუტურ, არამედ ლიმიტირებულ თავისუფლებას.

თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ ფუნქციას, რადგან გარემოზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბმა ისეთ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომ აუცილებელი გახდა მომავალი თაობების სასიცოცხლო ინტერესების სამართლებრივი დაცვა. თუ აქამდე სამართალი აწესრიგებდა ურთიერთობას მხოლოდ ერთი თაობის

ადამიანებს შორის, თანამედროვე სამართალი არეგულირებს ადამიანის ურთიერთობას როგორც ბუნებასთან, ისე მომავალ თაობებთან.

სამართალი, ჩვეულება და მორალი.

სამართალი და ჩვეულება

სამართალიც და ჩვეულებაც, ნორმატიულად არეგულირებს სოციალურ ურთიერთობებს და მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები

- 1)ორივეს აქვს ნორმატიული ხასიათი;
- 2)ჩვეულება სამართლის მსგავსად ჯერარსული წესრიგია;
- 3)ორივე არეგულირებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს;
- 4)სამართლისა და ჩვეულების რეგულაციის სფერო ადამიანის გარეგანი ქცევებია.

სამართალსა და ჩვეულებას შორის განსხვავებებია :

- 1)სამართალს ადგენს სახელმწიფო, ჩვეულებას სოციალური ჯგუფი.
- 2)ჩვეულება მოქმედებს შედარებით მცირერიცხოვან სოციალურ ერთობაში, მისი წევრთა რაოდენობა არ არის ზუსტად განსაზღვრული. სამართალი მოიცავს ფართო წრეს და ურთიერთობათა ფართო სპექტრს.
- 3)სამართლის ნორმისგან განსხვავებით, ჩვეულება ინდიფერენტულია ეთიკის მიმართ, ცუდი ჩვეულებაც ჩვეულებაა.
- 4)ჩვეულება არ ხორციელდება სახელმწიფო იძულებით და არც იურიდიული სავალდებულობის პრინციპი ახასიათებს.
- 5)ჩვეულების დროს ძნელია მოსალოდნელი სანქციების პროგნოზირება, ხოლო იურიდიული სანქციები განსაზღვრულია წინასწარ.
- 6)ჩვეულებითი წესრიგი ყალიბდება ფაქტობრივი ურთიერთობების შედეგად, პოზიტიური კანონმდებლობა - სპეციალურად განსაზღვრული პროცედურების შედეგად.
- 7)ჩვეულება მოქმედებს იმის გამო, რომ იგი ფაქტობრივად სრულდება. სამართალი მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, დაცულია თუ არა მისი მოთხოვნები.

ერთმანეთისგან განსხვავდება ჩვეულებისა და სამართლის მოქმედების სფერო. მართლწესრიგი და ჩვეულებითი წესრიგი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. სამართლის ნორმებს უფრო მეტად იმიტომ იცავენ, რომ ემთხვევა ჩვეულების მოთხოვნებს. სოციალური სინამდვილის ცალკეული სფეროები შეიძლება ვერ მოწესრიგდეს მხოლოდ სამართლით. ჩვეულებითი ნორმა ვერ მოაწესრიგებს რთულ სოციალურ

ურთიერთობებს, მოძრაობის წესებს და ა.შ თუმცა არსებობს ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის ნორმით. ყოფითი ურთიერთობების უმრავლესობა არ მოითხოვს იურიდიულ რეგლამენტაციას.

სამართალი და ჩვეულება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მათ შორის კონფლიქტისას მოქმედებს პოზიტიური სამართალი.

მორალის ცნება და სახეები

მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სიტემა. განასხვავებენ მორალის, ეთიკისა და ზნეობის ცნებებს.

მორალს ხშირად განმარტავენ როგორც “შინაგან ვალდებულებას”, რომელსაც განსაზღვრავს სინდისი. მორალური ნორმები ადამიანის სინდისისკენაა მიმართული. მორალი როგორც სამართალი არეგულირებს ადამიანთა ქცევას, რომლებიც იყოფა 2 ჯგუფად :

- 1) ქცევის ინდივიდუალური წესები რომელსაც ინდივიდი ავტონომიურად განსაზღვრავს
- 2) სოციალური ნორმები.

ამ კლასიფიკაციით განასხვავებენ ინდივიდუალურ და კონვენციონალურ მორალს. კონვენციონალური მორალი ეფუძნება საზოგადოების უმრავლესობის მორალურ წარმოდგენებს. ადამიანთა უმრავლესობა კონვენციონალური მორალის გავლენით ცდილობს დაიცვას საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები. საზოგადოებრივი მორალი იცვლება დროის შესაბამისად.

სავალდებულოების მიხედვით განასხვავებენ

- 1) მორალის მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც ყველა შემთხვევაშია სავალდებულო
- 2) მოთხოვნები, რომელთა დაცვაც არაა სავალდებულო, მაგრამ სასურველია.

მსგავსება და განსხვავება სამართალსა და მორალს შორის

მორალისა და სამართლის კავშირის შესახებ შეიძლება გამოიყოს სამი მიდგომა :

- 1) მორალი და სამართალი აყალიბებს ერთიან მთლიანობას. სამართალი წარმოადგენს მორალური წესრიგის შემადგენელ ნაწილს.
- 2) სამართალი და მორალი ფუნქციონალურად და არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან
- 3) სამართალი და მორალი არ არის ერთიანი, მაგრამ არც გამიჯნულია ერთმანეთისგან.

სამართალსა და მორალს ახასიათებს საერთო ნიშნები :

1)სამართალიც და მორალიც აწესრიგებს ადამიანებს შორის ურთიერთობას.

2)მორალისა და სამართლის მოთხოვნები შინაარსობრივად მსგავსია.

3)სამართლისა და მორალის დაცვა განიხილება, როგორც მოვალეობა.

მორალი და სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება :

1) მორალი ყალიბდება ჩვეულების, ტრადიციის გავლენით. სამართლის ნორმას ადგენს სახელმწიფო შესაბამისი პროცედურების დაცვით.

2) მორალური ნორმა დადგენილია პირდაპირი აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით. მას არ ახასიათებს იურიდიული სიზუსტე. სამართლის ნორმაში აკრძალვა ან მოთხოვნა აბსტრაქტულადაა ფორმირებული. მას ახასიათებს მაქსიმალური სიზუსტე.

3) მორალური ნორმა იცვლება ნელა, საზოგადოებასთან ერთად. სამართლის ნორმაში ცვლილებების შეტანა ხდება სათანადო პროცედურების დაცვით. 4) მორალს აინტერესებს პირის სუბიექტური ნება და მისი მოტივი. სამართლის ნორმა აწესრიგებს ადამიანთა გარეგან ქცევას.

5) მორალს ახასიათებს საზოგადოებრივი ზემოქმედების სახით სანქციებით იძულება. სამართალს ახასიათებს ორგანიზებული და აბსოლუტური იძულება.

მორალი, როგორც სამართალი ნორმატიული ჯერარსული წესრიგია, რომელიც ადგენს მოთხოვნას აკრძალვასა და ნებართვას. მართლწესრიგი ჰეტერონომიული წესრიგია, მორალი ავტონომიური. სამართლისგან განსხვავებით მორალს საზოგადოებისგან “იზოლირებული” ინდივიდიც აინტერესებს.

სამართალი და სამართლიანობა

სამართლიანობის სახეები

განასხვავებენ ორ ძირითად სახეს :

1)განაწილებითი სამართლიანობა

2)გათანაბრებითი სამართლიანობა

განაწილებითი სამართლიანობა მოიცავს სიკეთის განაწილების პროცესს და მასში მონაწილე სულ მცირე, სამ სუბიექტს. სამართლიანობა წარმოადგენს განაწილების ერთ-ერთ მასშტაბს. განაწილებითი სამართლიანობა დიდ როლს ასრულებს იერარქიული სტრუქტურის ურთიერთობებში. თანასწორობის პრინციპით თითოეულს ეკუთვნის თანაბარი წილი. წვლილის მიხედვით კი, სიკეთის შექმნაში ინდივიდის მონაწილეობის ხარისხი.

მოთხოვნილების შესაბამისად განაწილების ზემოაღნიშნულ პრინციპებს შორის არ არსებობს იერარქია. განაწილების პრინციპის შერჩევა უნდა მოხდეს შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. არ არსებობს ისეთი ზოგადი წესი, რომელიც ყველა შემთხვევისათვის სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას

უზრუნველყოფს.

გათანაბრებითი სამართლიანობა მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც არ ემყარება იერარქიას. გათანაბრებითი სამართლიანობა არ არის დამოკიდებული პირის ინდივიდუალურ შეხედულებებზე. თითოეულმა უნდა მიიღოს თავისი კუთვნილი სიკეთე. განაწილების პროცესში არც ერთი მხარე არ რჩება არც მოგებული, არც წაგებული. გათანაბრებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას არითმეტიკული პროპორციულობა აყალიბებს, ხოლო განაწილებისას გეომეტრიული. გათანაბრებითი სამართლიანობის უნივერსალური მასშტაბი არ არსებობს - შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მხოლოდ ამკარა უსამართლობა. ფორმალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ ნორმა უნდა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული - ნორმა უნდა არეგულირებდეს განმეორებად ურთიერთობებს და მიმართული იყოს სუბიექტთა განუსაზღვრელი წრისაკენ. ფორმალური სამართლიანობისგან განსხვავებულია ინდივიდუალური სამართლიანობა, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისის ზოგადი სამართლებრივი წესიდან. სამართლის ზოგადი ნორმა იძლევა კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების საშუალებას. სამართლიანობის დამოუკიდებელი სახეა სოციალური სამართლიანობა, რომელიც ეხება მთლიანად საზოგადოების ინსტიტუციონალურ წესრიგს.

სამართლიანობის თეორიები

განასხვავებენ სამართლიანობის ანალიტიკურ, ემპირიულ და ნორმატიულ თეორიებს. ანალიტიკური - ანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტურ შინაარსს.

დესკრიფციული თეორია - ანალიზებს სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს და არკვევს მათ როლებს. დესკრიფციულ თეორიებს მიეკუთვნება სამართლიანობის ისტორიულ-მატერიალისტური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები.

ნორმატიული - არა მარტო აღწერს, არამედ ახდენს მათ შეფასებას. ნორმატიულ თეორიაში გამოიყოფა სამართლიანობის მატერიალური და პროცედურული თეორიები. მატერიალური თეორია - კონკრეტულად საზღვრავს რა არის სამართლიანი და რა უსამართლო.

ბუნებით-სამართლებრივი თეორიის მიხედვით, სამართლიანობა არსებობს ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, მისი აღმოჩენა შემეცნების პროცესშია შესაძლებელი. სამართლიანობის პროცედურული თეორია აყალიბებს სამართლიანი სამართლის

დადგენის ან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წესებსა და პირობებს.
განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროცედურულ წესებს. სამართლიანობა
მიიღწევა პროცესის გზით.

განასხვავებენ პროცედურული თეორიის სასამართლო და სახელშეკრულებო მოდელს.
სახელშეკრულებო მოდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორობას და
გამორიცხავს იძულებას. მისი თანამედროვე ფორმაა სამართლიანობის
არგუმენტაციული თეორია, იგი შეიმუშავებს წესებსა და პირობებს, რომლებიც
უზრუნველყოფს გონივრულ შეთანხმებას.

სასამართლო მოდელის თანახმად, დავის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა მიიღოს
მესამე, დამოუკიდებელმა და კვალიფიციურმა მხარემ. მოსამართლემ უნდა
გაითვალისწინოს პროცესის მონაწილეების აზრი, მისცეს მათ საკუთარი არგუმენტების
წარმოჩენის თანაბარი შანსი, დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება და ა.შ

როულზის თეორია

როულზმა ჩამოაყალიბა სამართლიანობის თანამედროვე, ერთ-ერთი ყველაზე
გავრცელებული თეორია. მან სცადა სახელშეკრულებო თეორიათა ზირითადი
დებულებების რეკონსტრუქცია გადაწყვეტილებათა თანამედროვე თეორიების
მეშვეობით.

როულზი აყალიბებს სტატუს-ქვოს მდგომარეობას ანუ ადამიანთა საწყისი
მდგომარეობის ფიქციურ სიტუაციას, როცა ინდივიდები თავად საზღვრავენ მომავალ
საზოგადოებრივ წესრიგს. რეალურად არსებული ადამიანებისგან განსხვავებით,
ჰიპოთეტური ინდივიდები საკუთარი პიროვნულობისაგან გამიჯნულნი არიან
“არცოდნის ფარდით”. ამ ადამიანებმა არ იციან საზოგადოებრივი მდგომარეობა და
შესაძლებლობები.

როულზის აზრით, ჰიპოთეტური საზოგადოების წევრები თანხმდებიან ორ პრინციპზე :

1) თითოეულს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება ძირითადი თავისუფლებების ფართო
სისტემიდან

2) სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა: ა) ემსახურებოდეს თითოეულის
კეთილდღეობას და ბ) ეს უთანასწორობა დაკავშირებული უნდა იყოს ყველასთვის ღია და
ხელმისაწვდომ სოციალურ სტატუსთან. როულზის კონცეფცია არის
ინდივიდუალისტური. სამართლიანობა გულისხმობს შანსების თანასწორობას. მეორე
მხრივ, როულზი ამართლებს თანასწორი შანსების განსხვავებული რეალიზაციით
ჩამოყალიბებულ უთანასწორობას.

როულზის თეორია არის ბუნებითი სამართლის რეცეფცია, რომლის დროსაც
მნიშვნელობა ენიჭება პროცედურული სამართლიანობის იდეას.

უტილიტარიზმი

უტილიტარიზმის თეორია ეკუთვნის ბენტამს, მისთვის სამართლიანობა არის “მაქსიმალურად დიდი კეთილდღეობა მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის”.

უტილიტარიზმის თანახმად უპირატესობა ენიჭება საყოველთაო კეთილდღეობის იდეას ინდივიდუალურ მოთხოვნასთან მიმართებაში. სამართლის მეცნიერებაში უტილიტარიზმის იდეა განავითარა სამართლის ეკონომიკურმა ანალიზმა. სამართლის ეკონომიკური ანალიზი სამართლის ნორმებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ხარჯავს იგი საერთო-საზოგადოებრივ რესურსებს. ამ თეორიის მიხედვით, საუკეთესო ის კანონია, რომელიც ნაკლებად ხარჯავს საზოგადოებრივ რესურსებს.

სამართლის ნორმა:

სამართლის ნორმის ცნება

სამართალი შედგება მხოლოდ ნორმებისგან. მართლწესრიგი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა. ნორმა ნიშნავს ენობრივ ფორმით მოცემულ აზრობრივ სტრუქტურას და იგი პრესკრიფციული წინადადებაა და განსხვავდება დესკრიფციულისგან, რომელიც ყალიბდება არსით და ამბობს, რომ განსაზღვრული წინადადება მოხდა ან არ მოხდა. დესკრიფციული არკვევს ფაქტზე მსჯელობა ჭეშმარიტია თუ მცდარი.

ნორმა ადგენს იმას, “რაც უნდა იყოს” და მის შინაარსს ჯერარსი აყალიბებს. სამართლის ნორმა ჰიპოთეტური ჯერარსული წინადადებაა.

სამართლის ნორმა იმპერატიულია. ნორმა ადგენს, რომ ქცევის მოდელი უნდა განხორციელდეს თუ არა. ნორმაში მოცემული ქცევის წესი არ არის დამოკიდებული მოთხოვნის მართებულებაზე, აქედან გამომდინარე ნორმის შეუსრულებლობა არ ნიშნავს ნორმის მცდარობას.

დესკრიფციული წინადადება შესაძლოა იყოს ან მცდარი ან ჭეშმარიტი. ნორმა, როგორც პრესკრიფციული წინადადება, არ შეიძლება იყოს არც მცდარი, არც ჭეშმარიტი. ის შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მიზანშეუწონელი ან მიზანშეწონილი და ა.შ

ნორმა ენობრივი ფორმით გამოხატული ჯერარსული წინადადებაა, თუმცა არსებობს არაენობრივი ფორმებიც, მაგალითად გრაფიკულად მოცემული ნორმა, როგორც საგზაო ნიშანია, მაგრამ ნორმის შინაარსი არის ყოველთვის ენობრივი ფორმით.

სოციალური და ტექნიკური ნორმები

სამართლის ნორმა წარმოადგენს სოციალური ნორმის ერთ-ერთ სახეს. სამართლის გარდა, სოციალურ ნორმებს განეკუთვნება : **მორალი,ჩვეულება მოდა** და ა.შ
სოციალური ნორმა აწესრიგებს ურთიერთობას **ინდივიდებს**, ასევე **ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფს** შორის.

ქართული სამართალი არ იცნობს **ტექნიკური** ნორმის ლეგალურ დეფინიციას.

ტექნიკური ნორმის დამახასიათებელი ნიშნებია :

- 1)ტექნიკური ნორმა არის წერილობითი დოკუმენტი ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ.
 - 2)ტექნიკური ნორმების შემუშავებაში მონაწილეობენ დაინტერესებული **მეწარმეები,მომხმარებლები,მეცნიერები,ექსპერტები,გარემოს დაცვის ორგანიზაცია** და ა.შ
 - 3)ტექნიკური ნორმა ორიენტირებულია მაქსიმალურ კონსესუსზე.
 - 4)ტექნიკურ ნორმას ღებულობს განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანო.
 - 5)ტექნიკური ნორმა ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.
 - 6)ტექნიკური ნორმა ადგენს ზოგადი ან მრავალჯერადი გამოყენების წესს
 - 7)ტექნიკურ ნორმას იურიდიულ სავალდებულო ძალა არ აქვს.
 - 8)ტექნიკური ნორმა ეფუძნება **მეცნიერების,ტექნიკის და პრაქტიკის** გამოცდილებას.
- ტექნიკური ნორმა მოიცავს მომსახურების ტექნიკურ საფუძვლებს; მშენებლობის,ნაკეთობათა საპროექტო ნორმებს, ზომა-წონის ერთეულებს,უსაფრთხოების ღონისძიებებს, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს,ჯანმრთელობას ემსახურება და ა.შ
- მაგალითისთვის :**



სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის ნორმებს აქვთ **განსხვავებული შინაარსი და საერთო სტრუქტურა**. ნორმას აქვს :

- 1)დესკრიფციული ნაწილი - ის ფაქტობრივი ურთიერთობა, რომელიც ნებადართულია, აკრძალულია ან მოთხოვნილია.

2)ნორმატიული ნაწილი - რომელიც პირდაპირ ამბობს ეს ფაქტობრივი ურთიერთობა მოთხოვნილია,აკრძალული თუ ნებადართული.

ნორმატიული მოთხოვნა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც მოთხოვნის აკრძალვის ან ნებადართვის სახით.

მოთხოვნის ფორმა :

მაგ. კონსტიტუციის მე-6 მუხლი : “საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.”

ეს არის მკაფიოდ ფორმულირებული მოთხოვნა და უნდა განვიხილოთ, როგორც ჯერარსული. ნორმატიული შინაარსი კანონის ტექსტში ხშირად არ არის მკაფიოდ (ექსპლიციტურად) გამოხატული, არამედ იმპლიციტურად გამომდინარეობს მისგან.

აკრძალვის ფორმა :

მაგ. კონსტიტუციის მე-2 მუხლი, რომელიც კრძალავს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის გასხვისებას. ეს ნორმა ერთმნიშვნელოვნად აკრძალავს ადგენს. შედარებით რთული სიტუაციაა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,სადაც შეიძლება არ იყოს ნახსენები სიტყვა “აკრძალულია” , მაგრამ სისხლის სამართალი აწესებს სასჯელს აკრძალული ქმედებისთვის, და ამიტომ რაიმე ქმედების აკრძალვა ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს.

ნებადართვის ფორმა :

მაგ კონსტიტუციის 58-ე მუხლი, რომელიც პარლამენტის წევრებს ნებას რთავს გაერთიანდნენ ფრაქციაში. აქ ფრაქციაში გაერთიანება ნებაყოფილებითი ხასიათისაა, ნორმა არ კრძალავს არც ფრაქციაში გაერთიანებას და არც ამბობს, რომ ეს სავალდებულოა. როგორც წესი, კანონი იშვიათად იყენებს ნებადართვის ფორმას, დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედებს პრინციპი : “ნებადართულია ყველაფერი ის,რაც არ არის აკრძალული.” ეს პრინციპი არ მოქმედებს საჯარო სამართალში, სადაც მხოლოდ ის არის ნებადართული რაც კანონშია მოცემული. არ შეიძლება ერთი და იგივე ქცევა ერთდროულად აკრძალულიც იყოს და ნებადართულიც.

სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება :

- 1)ფაქტობრივი შედგენილობა
- 2)იურიდიული შედეგი

ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს იურიდიული შედეგის წინაპირობებს,ის არსებობს განსაზღვრული და განუსაზღვრელი. განსაზღვრული ფაქტობრივი

შემადგენლობა არ მოითხოვს განმარტებას მაგ. რიცხვი, ზომა წონა. განუსაზღვრელი კი-პირიქით.

განუსაზღვრელი ფაქტობრივი შემადგენლობა შეიძლება იყოს **დესკრიფციული და ნორმატიული**.

დესკრიფციული ფაქტობრივი შემადგენლობა შეეხება ობიექტს ან მის ნიშან-თვისებებს. მაგ სსკ-ს 149 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ უძრავ ქონებას განეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მასზე მდგარი შენობით.

ნორმატიული ფაქტობრივი შემადგენლობა მოითხოვს შეფასებას. მაგ სსკ-ს 54-ე მუხლი, როდესაც გარიგება ზნეობის ნორმებს ეწინააღმდეგება, ბათილია. აქ “ზნეობის” ცნება მოითხოვს შეფასებას.

დესკრიფციული და ნორმატიული ფაქტობრივი შედგენილობა ნორმაში განსხვავებული კომბინაციით გვხვდება. ნორმის შემადგენლობა შეიძლება იყოს **კუმულაციური ან ალტერნატიული**.

კუმულაციური ნორმა : შემთხვევა, როცა იურიდიული შედეგი დგება რამდენიმე პირობის ერთდროულად დაკმაყოფილებით, ხასიათდება “და” კონსტრუქციით. მაგ. სსკ-ს 1106 მუხლი ქორწინების შესახებ, როცა ქორწინებისთვის აუცილებელი პირობებია :

ა) ორივე მხარის თანხმობა.

ბ) საქორწინო ასაკი.

იმისათვის, რომ შედგეს ქორწინება პირები **აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმის ორივე პირობას**.

ალტერნატიული ნორმა :

ხასიათდება “ან” კონსტრუქციით, მოიცავს ორ ან მეტ პირობას და ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც დგება იურიდიული შედეგი. მაგ სსკ-ს მე-3 მუხლი, როცა კანონი კარგავს ძალას :

ა) თუ ამის შესახებ უთითებს ახალი კანონი.

ბ) ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას.

გ) აღარ არსებობს ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი

დ) ძველი კანონი ეწინააღმდეგება ახალს.

აქედან **ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში მაინც დადგება იურიდიული შედეგი ანუ ამ კანონი დაკარგავს ძალას**.

იურიდიული შედეგი, დგება როცა სახეზეა ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა.

სისხლის სამართალში - დამნაშავეისთვის სასჯელის შეფარდება

სამოქალაქოში - ზიანის ანაზღაურება, საფასურის გადახდა.

იურიდიული შედეგი, ხშირადაა გამოხატული **სანქციით**. განასხვავებენ **პოზიტიურ და ნეგატიურ** სანქციებს. სანქციის უმრავლესობა ნეგატიურია ანუ იწვევს იურიდიულად არასასურველ შედეგებს. პოზიტიური კი - წამახალისებელია მართლზომიერი ქმედებისთვის.

სამართლის ნორმის სახეები

სამართლის ნორმები შეიძლება დაიყოს :

- 1)ნორმის ადრესატების
- 2)ნორმატიული მოქმედების ძალის მიხედვით.

ადრესატების მიხედვით განასხვავებენ **ინდივიდუალურ** ნორმებს,მიმართულს კონკრეტული პირის მიმართ.

ზოგად ნორმებს,მიმართულს ინდივიდთა ჯგუფისაკენ.

უპირობო ნორმის შესრულება სავალდებულოა წინასწარი პირობის გარეშე,ნებისმიერ შემთხვევაში.

განპირობებული ნორმა მოქმედებს მხოლოდ რაიმე პირობების არსებობისას, ხასიათდება კონსტრუქციებით “თუ” – “მაშინ”

დეფინიციური ნორმა, რომელიც მოქმედებს სხვა ნორმებთან კავშირში და ცალკე მას ძალა არ გააჩნია.

სამართლის წყარო

სამართლის წყაროს ცნება

განასხვავებენ სამართლის **სოციოლოგიურ და იურიდიულ წყაროს** ცნებებს.

სოციოლოგიური ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს,რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი. სოციოლოგიური თვალსაზრისით, კანონი არაა კანონმდებლის “აღმოჩენა”. კანონშემოქმედებით პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები,რაც საბოლოოდ კანონის ტექსტში აისახება.

სამართლის **იურიდიული წყაროს** ცნება მოიცავს პოზიტიურ

კანონმდებლობას,სამეცნიერი იურიდიულ ლიტერატურას,სასამართლო პრაქტიკასა და მართლშეგნებას. სამართლის იურიდიული წყარო არის ნორმატიული.იურიდიული წყარო ადგენს ქცევის შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს.

ჩვეულებითი სამართალი

ჩვეულებითი სამართალი სამართლის უძველესი წყარო ჩამოყალიბდა, როგორც დაუწერელი ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც თაობებს ზეპირი გზით

გადაეცემოდა. ადრეულ ეპოქებში ჩვეულება იმავდროულად სამართალიც იყო. ჩვეულებითი სამართალი ეფუძნება ნორმის გამოყენების ხანგრძლივ ტრადიციას და მისი სავალდებულოობის შესახებ საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებულ რწმენას. ჩვეულებითი სამართალი არის არა სამართალშემოქმედების აქტი, არამედ განვითარების შედეგის ყალიბდება და არ იქმნება. ჩვეულება, სამართლისაგან განსხვავებით, ანონიმურად ყალიბდება, ჩვეულებითი სამართლის ნორმა შესაძლოა საკანონმდებლო ნორმის საფუძველიც გახდეს. ჩვეულებით სამართალს სამართლის წყაროთა სისტემაში განსაზღვრული რანგი არ უკავია, იგი ყველა დარგში შეიძლება ჩამოყალიბდეს. ჩვეულებას შიდასახელმწიფო სამართლისაგან განსხვავებით, შედარებით დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართალში.

სამოსამართლო სამართალი

მართლმსაჯულება შეზოჭილია კონსტიტუციითა და კანონით, რასაც საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი მიუთითებს. ძირითადი კანონი კრძალავს სამოსამართლო სამართალს, როგორც სამართლის წყაროს. მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს იდეალურად სრულყოფილი. კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობის გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს, კანონის ტექსტი აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებაც განმარტებას მოითხოვს. მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობის გადაწყვეტა, რომელიც არ წესრიგდება სამართლის ნორმით. სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდებისა და არა სამართალშემოქმედების აქტი. სასამართლო გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. მართლმსაჯულება არის არა სამართლის წყარო, არამედ სამართლის შემეცნების წყარო. იურიდიულ პრაქტიკაში გადაწყვეტილებას ხშირად ღებულობენ ზემდგომი ინსტანციის მიერ განვითარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე.

განსხვავდება ანგლოამერიკული სამართლისა და კონტინენტური ევროპის პრინციპები. ანგლოამერიკული უფრო პრეცედენტული ხასიათისაა, გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამართალი ისაა რასაც ასეთად მოსამართლე მიიჩნევს. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში მართლმსაჯულება, განიხილება როგორც სამართალშემოქმედება, ხოლო სამართალი - როგორც სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებების ერთობლიობა. სხვა სიტუაციაა კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში, სადაც მოსამართლე უნდა ექვემდებარებოდეს კანონს და არა სასამართლო გადაწყვეტილებებს. სამართლებრივი **აზროვნების ევროპული სტილი უფრო დედუქციურია, ვიდრე ინდუქციური.**

სამოსამართლო სამართალი, მართლწესრიგის მსგავსად, იერარქიულია. ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭება ქვემდგომის მიმართ. სამოსამართლო სამართლის

იერარქია ეფუძნება სამოსამართლო ორგანოთა სისტემას.

“იურისტების სამართალი”

იურისტების სამართალი ეწოდება სწავლული იურისტების ან სამართალმცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მიერ განვითარებული შეხედულებების ერთობლიობას. შუა საუკუნეებში სწავლულ იურისტთა რეცენზიებს კანონის ძალა ჰქონდა, თუმცა დღევანდელ პერიოდში “იურისტების სამართლის” როლი მნიშვნელოვნად დაეცა. სამეცნიერო შეხედულება უნდა განვიხილოთ როგორც რეკომენდაცია, რომელსაც ლეგიტიმაცია არ გააჩნია. სამართლის მეცნიერული მოძღვრება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს.

ნორმატიული აქტი

ნორმატიული აქტის ცნება და სახეები

ნორმატიული სამართლებრივი აქტი გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცავს მისი მუდმივი, დროებითი ან მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს.

ნორმატიულ აქტს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- 1) მისი მიღება უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციაში შედის.
- 2) ნორმატიული აქტის მიღება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით - პროცედურული წესების დარღვევით მიღებულ აქტს არ აქვს იურიდიული ძალა.
- 3) ნორმატიული აქტი განსაზღვრავს შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესს.
- 4) ნორმატიულ აქტს აქვს საყოველთაო მოქმედების პრეტენზია - მისი ადრესატი სუბიექტა განუსაზღვრელი წრეა.
- 5) ნორმატიული აქტი ადგენს მრავალჯერადი ქცევის წესს.

ინდივიდუალური აქტის მოქმედება წყდება მისი შესრულებით ანუ ერთჯერადია, მაგ. განაჩენი წყდება, როცა პირი სასჯელს მოიხდის.

საქართველოში მოქმედებს შემდეგი ნორმატიული აქტები : საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, და ა.შ საქართველოს ნორმატიული აქტის სახეები განსაზღვრულია ნორმატიული აქტების კანონის შესახებ მე-4 მუხლით.

ნორმატიული აქტის რეკვიზიტები განსაზღვრულია კანონმდებლობით, ნორმატიულ

აქტში მითითებული უნდა იყოს:

- 1) ნორმატიული აქტის სახე
- 2) სათაური
- 3) მიღების, გამოცემის თარიღი და ადგილი.
- 4) ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა
- 5) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა
- 6) ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მიერ გამოცემული სარეგისტრაციო ნომერი.

ნორმატიული აქტების იერარქია

ნორმატიული აქტის იურიდიულ ძალას განსაზღვრავს მისი გამომცემი ორგანოს ადგილი სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში. ნორმატიული აქტების იერარქიას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის შეფარდების პროცესში. საქართველოში არსებული იერარქიის თანახმად, კონსტიტუცია არის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი, ამიტომ ნებისმიერი ნორმატიული აქტი უნდა ექვემდებარებოდეს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს.

კანონი როგორც ნორმატიული აქტი

კანონის ცნება :

კანონი სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. განასხვავებენ ლოგიკურ, ბუნებისა და იურიდიულ კანონებს. ისტორიულად, პირველად იურიდიული კანონის ცნება ჩამოყალიბდა. იურიდიული კანონი განსხვავდება ბუნებისა და ლოგიკის კანონებისგან. კერძოდ, იურიდიული კანონის განხორციელების ვარიანტები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ბუნების ან მეცნიერული კანონებისა, იურიდიულ კანონს ასევე ახასიათებს მოქმედების ფარგლებისა და რეალიზაციის პერიოდის შემცირება-გადიდების შესაძლებლობა; კანონით რეგულირებული ურთიერთობები ნებელობითი ხასიათისაა და მათზე შესაძლებელია განხორციელდეს გარეშე სოციალური კონტროლი; ეს ურთიერთობები განმეორებადია და ციკლური.

განასხვავებენ კანონის **ფორმალურ და მატერიალურ** გაგებას. კანონი ფორმალური გაგებით ეწოდება ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს. კანონის (ფორმალური გაგებით) მიღება შეუძლია მხოლოდ პარლამენტს.

მატერიალური აზრით კანონი ეწოდება სახელმწიფოში მოქმედ ყველა იურიდიულად სავალდებულო, აბსტრაქტულ და ზოგად, სამართლებრივ აქტს. მატერიალური აზრი უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ ნორმა იყოს აბსტრაქტული, ზოგადი და შესასრულებლად სავალდებულო.

ამ ორ გაგებას შორის განსხვავებას არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ძირითადი უფლებების სფეროში ნებისმიერი ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კანონის (ფორმალური გაგებით) ფორმით.

კანონის სახეები

საქართველოში კანონის სახეებია : საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუცია და კანონები.

კონსტიტუცია

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელსაც ყველა სხვა სამართლებრივი აქტი შეესაბამება. კონსტიტუცია აყალიბებს სახელმწიფოს სრულყოფილ კონსტრუქციას, მის გარეშე სახელმწიფოს არ აქვს დასრულებული სტრუქტურა. კონსტიტუცია განსაზღვრელია სახელმწიფოს კონკრეტული წესრიგის, სახელმწიფოს მიზნის, სამართლებრივი ჩარჩოების, ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანის ძირითადი უფლებების. კონსტიტუცია ადგენს იმ **სახელმძღვანელო პრინციპებს**, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება.

კონსტიტუციას ახასიათებს აბსტრაქციის მაღალი დონე, იგი არ აწესრიგებს სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობას, ისევე როგორც არ ახორციელებს კოდიფიკაციას. კონსტიტუცია მხოლოდ ფუნდამენტალური საკითხების მარეგულირებელია.

კონსტიტუცია ახორციელებს ინტეგრაციულ ფუნქციას, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ერთიანობას, განსაზღვრავს სახელმწიფოს ფორმასა და საშინაო წესრიგის საფუძვლებს.

კონსტიტუციური კანონი

კონსტიტუციური კანონი მიიღება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას. კონსტიტუციური კანონი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს, მიღებისთანავე ის ხდება კონსტიტუციის ორგანული და განუყოფელი ნაწილი.

ორგანული კანონი

ორგანული კანონი მიიღება იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული, ორგანული კანონებით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა, არჩევის წესი, სახელმწიფო სიმბოლოები, მოქალაქეობის მოპოვების, დაკარგვის წესი, რეფერენდუმის დანიშვნა-ჩატარება და ა.შ

კანონი

საქართველოს კანონის მიღება შეიძლება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთაც ორგანული კანონები აწესრიგებს.

საერთაშორისო ხელშეკრულება

საერთაშორისო ხელშეკრულება არის სახელმწიფოთა, ან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული წერილობითი შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს : საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კონგორდატს.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სახეები განსაზღვრულია საქართველოს კანონით ნორმატიული აქტების შესახებ, ასეთებია : საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, მინისტრის ბრძანება და ა.შ

ნორმატიული აქტის დროში მოქმედება

ნორმატიული აქტის მოქმედება დროში განისაზრება მისი ძალაში შესვლისა და ძალის დაკარგვის ფარგლებით. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ განასხვავებს აქტის მიღებას და ძალაში შესვლას საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალური გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს თუ კანონი სხვა ვადას არ ადგენს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ სხვა ვადა არაა დადგენილი.

ნორმის ძალაში შესვლის თარიღი, უმეტესად, განსაზღვრულია თვითონ კანონით. დასაშვებია კანონით დადგინდეს მისი თავის ან მუხლის ძალაში შესვლის სპეციალური თარიღი.

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობა სხვა რამეს არ ადგენს. კანონი შეიძლება იყოს მიღებული განსაზღვრული ვადით, რის შემდეგაც ის ან ძალადაკარგულად ჩაითვლება ან ახალი კანონი შეცვლის.

კანონი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს მაშინ, როცა :

1)გასდის ვადა

2)მიიღება კანონი, რომელიც ძალდაკარგულად აცხადებს მას.

ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობა გაცილებით გვიანდელია, ვიდრე მოქმედი სამართალი, ამ ურთიერთობების მიმართ მოქმედებს **ინტერტემპორული**

სამართალი, რომელიც ადგენს გარდამავალ დებულებებს.

კანონის მოქმედება, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე რომელიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდეგ. კანონს უკუძალა იმ დროს აქვს, როცა ეს პირდაპირ არის დადგენილი კანონით. კანონი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, არ აქვს უკუძალა.

განასხვავებენ კანონის **ნამდვილ (რეტროაქტიულ) და არანამდვილ (რეტროსპექტიულ)** უკუძალას.

ნამდვილი სახეზეა მაშინ, როცა კანონი ეხება წარსულში მომხდარ და წარსულშივე დასრულებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს.

არანამდვილი-კი, ეხება თანამედროვე, მიმდინარე სამართლებრივ ურთიერთობებს.

ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიხედვით

ნორმატიული აქტის ტერიტორიული მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამომცემი ორგანოს უფლებამოსილების სფერო. საქართველოში ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ავტონომიური რესპუბლიკის აქტი შესასრულებლად სავალდებულოა, მხოლოდ მისივე ტერიტორიაზე.

პირთა წრის მიხედვით ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებზე და აქ მცხოვრებ უცხოელებზე, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

ექსტერიტორიულობა გულისხმობს, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, არ ვრცელდება შიდასახელმწიფოებრივი კანონის მოქმედება.

სამართლის სისტემა

სამართალი როგორც სისტემა

მართლწესრიგი სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, ნორმათა ურთიერთკავშირის სამართლის სისტემა ეწოდება. მას ახასიათებს გარეგანი(ფორმალური) და შინაგანი სისტემურობა, გარეგანს აყალიბებს სამართლის დარგების ერთობლიობა, ყველაზე ზოგადი სახით სამართლის სისტემა მოიცავს საჯარო და კერძო სამართალს.

საჯაროს განეკუთვნება : საკონსტიტუციო, საგადასახადო, სისხლის, საპროცესო სამართალი და ა.შ

კერძო მოიცავს : სამოქალაქოს, საეკლესიოს, სავაჭროს, საკორპორაციოს და ა.შ

არსებობს დარგები, რომლებიც ძნელია მივაკუთვნოთ ან ერთს ან მეორეს.

მაგ. სამეწარმეო, სოციალური და შრომის სამართალი.

სამართლის გარეგანი სისტემა ნორმატიული მნიშვნელობის არ არის და იურიდიული შედეგი არ გააჩნია. როგორც იურიდიული ტექნიკის ნაწილი, სამართლის გარეგანი სისტემა უზრუნველყოფს იურიდიული ნორმების მოძიებას, ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და ა.შ

მართლწესრიგს ახასიათებს შინაგანი სისტემურობა, განასხვავებენ აქსიომატურ, აქსიოლოგიურ და ტელეოლოგიურ სისტემურობას. აქსიომატური გულისხმობს, რომ ყველა ნორმა გამომდინარეობს უმაღლესი აქსიმიდან. აქსიომა მტკიცებას არ საჭიროებს და არსებობს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სამართალი როგორც აქსიომატური სისტემა გამომდინარეობს აქსიომატურად დადგენილი ნორმიდან.

სამართლის აქსიოლოგიური სისტემის სათავეში უზენაესი ღირებულება დგას, რომელსაც სამართლის იდეას ან სამართლიანობას უწოდებენ. უზენაესი ღირებულება შეიზღვევა მიენიჭოს როგორც ძირითად უფლებებს, ასევე ადამიანსაც.

ტელეოლოგიურ სისტემას აყალიბებს პოზიტიური სამართლის მიზნები. სამართალი შეიძლება ესწრაფვოდეს ერთი ან რამდენიმე მიზნის რეალიზაციას.

პოზიტიურ სამართალს ახასიათებს ცნებათა სისტემა. სამართლის მეცნიერება მუშაობს ცნებების დახმარებით, ცნება განზოგადების, სისტემური აზროვნების შედეგია. ცნების სისტემური ხასიათი იკვეთება მის სტრუქტურაში.

საჯარო და კერძო სამართალი

საჯარო და კერძო სამართალს ერთმანეთისგან ჯერ კიდევ რომის სამართალი მიჯნავდა. საჯარი იყო ის, რაც რომის სახელმწიფოს უკავშირდებოდა, კერძო-კი, რომელი მოქალაქეებს. საჯარო და კერძო სამართალი განსხვავებულ პრინციპებს ეფუძნება. კერძო სამართალი აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს. ადამიანი მოქმედებს საკუთარი პასუხისმგებლობით. კერძო სამართალში დაშვებულია ყველაფერი ის, რაც კანონით არ არის აკრძალული.

საჯარო სამართალში, პირიქით, მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპი. საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში უფლება-მოვალეობები განისაზღვრება არა ნებით, არამედ კანონით. საჯარო სამართალში დაშვებულია მხოლოდ ის, რასაც ადგენს კანონი. საჯარო სამართალი არის იერარქიული, ვერტიკალური ტიპის ხოლო კერძო სამართალი ჰორიზონტალური ტიპის, რამდენადაც ეფუძნება თანასწორობის პრინციპს. კერძო სამართალი დისპოზიციურია, ის მოქმედებს სუბსიდიარულად, როცა მონაწილე მხარეები თავისი ნების შესაბამისად არეგულირებენ ურთიერთობებს.

განსხვავებით კერძოსგან, საჯარო სამართალს ნაკლებად ახასიათებს დისპოზიციურობის

ნიშნები.

გამიჯვნის თეორიები

ინტერესების თეორია

ამ თეორიის მიხედვით, საჯარო და კერძო სამართალი განსხვავდება იმით, თუ რომელ ინტერესს ანიჭებს იგი უპირატესობას. ინტერესების თეორია ნაკლებადაა დღეს გავრცელებული, რადგან არსებობს საჯარო ინტერესები კერძო სამართალში და პირიქით - საჯარო ინტერესები კერძო სამართალში.

სუბორდინაციის თეორია

სუბორდინაციის თეორიის თანახმად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები თანასწორნი არიან, მაშინ, როცა საჯაროსთვის დამახასიათებელია ურთიერთობის იერარქიული ხასიათი. კერძო სამართალი ეფუძნება თანასწორობის პრინციპს, საჯარო აგებულია ვერტიკალურ ურთიერთობებზე.

ვერც ეს თეორია, ვერ იძლევა გამიჯვნის მკაფიო შესაძლებლობას. მთელი რიგი საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება თანასწორობის პრინციპს და პირიქით კერძო სამართლის დარგებში (საოჯახო, შრომის სამართალი) გვხვდება სუბორდინაციაზე დაფუძნებული ურთიერთობები

სუბიექტის თეორია

სუბიექტის თეორიის მიხედვით, საჯარო სამართლის ნორმის ადრესატია სახელისუფლებო უფლებამოსილების მქონე სუბიექტი. კერძო ნორმა უფლებებს და ვალდებულებებს ანიჭებს ყველას. მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი. მისი დადება შეუძლია სახელმწიფოსაც და სხვა სუბიექტსაც ე.ი ყველას ანუ საქმე გვაქვს კერძო სამართლის ნორმასთან.

სუბიექტის თეორია ეფუძნება განსხვავებას, კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შორის.

სუბიექტის თეორია სრულად ვერ ხსნის საჯარო და კერძო სამართალს შორის განსხვავებას. მიუხედავად ამისა თანამედროვე პერიოდში იგი უფრო ფართოდაა გავრცელებული.

სამართლებრივი სისტემები

კლასიფიკაცია

თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი სამართლებრივი სისტემები იყოფა სამართლებრივი

ოჯახების მიხედვით. გამოყოფენ კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს. კონტინენტური ევროპის ჩამოყალიბდა, რომაული,გერმანული და კანონიკური ტრადიციების საფუძველზე.ინგლისისა და ინგლისური გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები აყალიბებენ ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს.

კონტინენტური ევროპის სამართლის გავრცელებას ხელი შეუწყო კოლონიალურმა მმართველობამ. კონტინენტური ევროპის სამართალში შეიძლება გამოიყოს “რომანული” და “გერმანული სამართლის” ქვეყნები.

რომანულს მიეკუთვნება : საფრანგეთი,ბელგია,ლუქსემბურგი,ესპანეთი და ა.შ

გერმანულს მიეკუთვნება : ავსტრია,ლიხტენშტაინი,თურქეთი,საქართველო და 31ა.შ

ასევე სკანდინავიის ქვეყნები,რომლებიც აყალიბებენ სამართლის დამოუკიდებელ ოჯახს. ანგლოამერიკულ სამართლებრივ ოჯახში გამოყოფენ ინგლისურ ქვეყნებს და ამერიკულ სამართალს, გარდა ინგლისისა მიეკუთვნება უელსი,ჩრდ.ირლანდია,კანადა და ა.შ ასევე ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები.

ამერიკული სამართლის ჯგუფში შედის თავად 31აშშ, ცალკე იყოფა ლუიზიანას შტატი სადაც დომინირებს ფრანგული სამართლის ტრადიციები.

სამართლის განსაკუთრებულ ოჯახს აყალიბებს ისლამის,ინდუიზმისა და ბუდიზმის რელიგიური სამართალი, ამ ოჯახს განეკუთვნება ქრისტიანული რელიგიების საეკლესიო სამართალიც.

კონტინენტური ევროპის ოჯახი

მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის იუსტინიანეს, მისი კანონმდებლობა მოიცავდა დიგესტებს ანუ პანდექტებს.

ბოლონიის უნივერსიტეტებში, იურიდიულ განათლებას საფუძველად რომის სამართალი დაედო.

ევროპაში განხორციელებულმა დიდმა კოდიფიკაციებმა ხელი შეუწყო სამართლის სისტემების ფორმირების პროცესს და სისტემების ერთმანეთისგან გამიჯვნასაც.

განსაკუთრებით წარმატებული იყო დანიის, ნორვეგიისა და შვედეთის.

გერმანიაში სამართლის კოდიფიკაცია განხორციელდა 1871 წელს თითქმის 100 წლით გვიან, ვიდრე საფრანგეთისა და ავსტრიის, თუმცა ამას დადებითი მხარეც ჰქონდა, რადგან გერმანელებმა გაითვალისწინეს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უფრო სისტემატიზებული იყო და ზუსტად ჩამოყალიბდა იურიდიული ცნებების შინაარსი. აღიარებულია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იურისტებისთვის არის დაწერილი. შედარებით მარტივი ენით გამოირჩევა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის ავტორიც იყო ჰუმბერი.

ანგლოამერიკული სამართლის ოჯახი

ანგლოამერიკულ სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი და აშშ-ს სამართალი. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ფიქცია, რომლის თანახმადაც უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებს პარლამენტი, თუმცა საქმე ეხება სამოსამართლო პრაქტიკას. სასამართლო პრეცედენტები სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. სამოქალაქო სამართალწარმოებაში რეალურად იზრდება ადგილობრივი სასამართლოების მნიშვნელობა და სულ უფრო ძლიერდება პოზიტიური კანონმდებლობის როლიც.

ბრიტანულისგან ოდნავ განსხვავდება ამერიკული სამართალი, მათ შორის განსხვავება ეფუძნება პოლიტიკურ-სოციალურ ფაქტორებს. ინგლისი უნიტარული სახელმწიფოა, ამერიკა ფედერაციული, რომელიც მოიცავს 50 მართლწესრიგს პლუს ფედერალური მართლწესრიგი.

განსხვავება კონტინენტურ ევროპულსა და ანგლოამერიკულს შორის

კონტინენტურ ევროპაში პოზიტიური კანონმდებლობა არის სამართლის წყარო. ანგლოამერიკულში- კი სასამართლო პრეცედენტი.

კონტინენტურ ევროპის სამართალში პრეიუდიციებს არ აქვთ მბოჭველი ძალა.

ანგლოამერიკულში- კი მოსამართლე შებოჭილია სამოსამართლო სამართლით.

შედარებით უმნიშვნელოა კონტინენტურ ევროპასა და ანგლოამერიკულ ოჯახს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი განსხვავება. ეს ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტებს. საკუთარი უფლებების სასამართლოში დაცვა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში უფრო “იაფია”, ვიდრე ანგლოამერიკულში.

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახებს შორის განსხვავება, ეფუძნება იურიდიული აზროვნების წესსა და მეთოდებს. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებსაც. ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნებში საზოგადოების ცვლასთან ერთად მოსამართლეები სამართლის სინქრონიზაციასაც ახორციელებდნენ, როცა ევროპის ქვეყნებში სამართლის სისტემის ერთიანობის ერთადერთი საშუალება იყო კოდიფიკაცია. კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი. ინგლისში კი ბატონობდა აზროვნების სამოსამართლო სტილი. კონტინენტურის იურიდიული აზროვნების წესი დედუქციურია - მიმართულია ზოგადიდან კონკრეტულისკენ. ანგლოსაქსური- კი პირიქით, ინდუქციურია მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დღესდღეობით ეს განსხვავება ქრება. შეიცვალა მოსამართლეთა როლიც, კონტინენტურ ევროპაში სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების გავლენით ამაღლდა მოსამართლეთა როლი, ინგლისსა და აშშ-ში პირიქით, შესუსტდა.

სამართალი და სახელმწიფო ხელისუფლება

ხელისუფლების სამართლებრივი საფუძვლები

ხელისუფლება, ფართო გაგებით გულისხმობს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას. ის შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის იძულებით.

ნებისმიერი სახელმწიფო გაფორმებულია იურიდიულად. სამართალი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას, ამ ორგანოთა უფლებამოსილებას, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს. იურიდიულ ლიტერატურაში ხელისუფლებას განიხილავენ, როგორც სამართლის ერთგვარ დანამატს, სამართალი არსებობს მხოლოდ იდეის სახით, რომელიც თავის გამოხატულებას ჯერარსულ ნორმებში პოულობს. ხელისუფლება სამართლის მიღმაა და სამართლის ნორმებს ახორციელებს. ხელისუფლება და სამართალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პოზიტიური სამართალი იცავს წესრიგს და ახორციელებს ხელისუფლებას, მაგრამ ადამიანის ქცევის მართვის შესაძლებლობა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს. ხელისუფლების გარეშე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საკანონმდებლო წინადადება ან ძალადაკარგული ნორმა.

ხელისუფლება არსობის სფეროს განეკუთვნება. ხელისუფლებაც უნდა იყოს პასუხისმგებელი მორალური ან რელიგიური ინსტანციის წინაშე.

ხელისუფლების ბოჭვა, როგორც სამართლებრივი პრინციპი

სამართლის მიერ ხელისუფლების ბოჭვა სამართლებრივი პრინციპია, რაც კონსტიტუციაშიც გვაქვს მოცემული. ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალით. ამ პრინციპმა ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. დიუგის აზრით, არსებობდა სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური შებოჭვა.

ნეგატიური ბოჭვა - დადგინდეს, არსებობს თუ არა კანონი, რომლის გამოცემაც სახელმწიფოს არ შეუძლია.

პოზიტიური ბოჭვა - გაირკვეს, არსებობს თუ არა კანონი, რომლის გამოცემაც სავალდებულოა სახელმწიფოსთვის.

სამართლის მიერ ხელისუფლების ბოჭვის ფუნქცია უკავშირდება ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის ლიბერალურ იდეას. ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. სამართლის მიერ ხელისუფლების ბოჭვა მოითხოვს ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას. აუცილებელია ისეთი

ინსტანცია, რომელიც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას გააკონტროლებს.

ხელისუფლების შეზღუდვის საკითხი აქტუალურია როგორც ტოტალიტარულ სისტემებში, ისე დემოკრატიულშიც. თუ უმრავლესობის მმართველობა შეზღუდული არ არის, ის შეიძლება ტირანად ჩამოყალიბდეს.

დემოკრატიის იდეა არ ამოიწურება მხოლოდ უმრავლესობის მმართველობით.

დემოკრატია მოითხოვს უმცირესობის თავისუფლების დაცვასაც. თავისუფლების იდეა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თანასწორობისა და სახალხო სუვერენიტეტის იდეა.

ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზაცია ჭეშმარიტი დემოკრატიის მიზანია.

ხელისუფლებაზე კონტროლის ქმედითი ფორმაა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად).

წინააღმდეგობის უფლება

ხალხი არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყარო და ეს განმტკიცებულია კონსტიტუციით. წინააღმდეგობის უფლება სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშანია.

კანონი მხოლოდ მაშინ არის სამართალი, თუ იგი კონსტიტუციას შეესაბამება.

წინააღმდეგობის უფლება იცავს მხოლოდ დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს.

წინააღმდეგობის უფლება არ ნიშნავს, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფს შეუძლია გააუქმოს პარლამენტში დემოკრატიული უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან ხელი შეუშალოს მთავრობის კანონიერ საქმიანობას. წინააღმდეგობის უფლება უკიდურესი საშუალებაა, როცა სხვა ფორმით შეუძლებელია თავდაცვა. ის არის სუბსიდიარული, არ დაიშვება, თუ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აქვთ დემოკრატიული წესრიგის დაცვის საშუალება. წინააღმდეგობის უფლება დაიშვება მხოლოდ კონსერვაციის აღდგენისა და დაცვის მიზნით. დაუშვებელია მისი ბოროტად გამოყენება.

მას აქვს პოლიტიკური შინაარსი. არ შეიძლება არსებული მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება იმავე მართლწესრიგით მოწესრიგდეს. წინააღმდეგობის უფლებაში იკვეთება კანონსა და სამართალს შორის არსებული განსხვავება. იგი არ უნდა ნიშნავდეს ზღვარგადასულ თვითნებობას. წინააღმდეგობის უფლება არ უარყოფს სამართლის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს.

წინააღმდეგობის უფლება ყოველთვის მიმართულია

უსამართლო სისტემის მიმართ.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლება

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ეფუძნება მორალურ ნორმას და განსხვავდება წინააღმდეგობის უფლებისგან. თუ წინააღმდეგობა მიმართულია უსამართლო სისტემის მიმართ,

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა მიმართულია სახელმწიფოს

ცალკეული გადაწყვეტილებების მიმართ.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობისას მოქალაქეები დემონსტრაციულად გამოხატავენ პროტესტს, მათი აზრით, არალეგიტიმური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. ის შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი წესების სიმბოლური დარღვევის ფორმით, რომელიც არ ატარებს ძალადობის ხასიათს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მიზანია უკვე მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილების შეცვლა საჯარო პროტესტის გამოხატვის და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით და იგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

სამართალი და პოლიტიკა

პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები

პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ერთმანეთისგან განასხვავებენ პოლიტიკურ და იურიდიულ აზროვნებას. პოლიტიკური აზროვნება ეფუძნება პოლიტიკური პროცესის მონაწილე სუბიექტების პირად მოსაზრებებს. იურიდიული აზროვნება ორიენტირებულია სამართლის წინასწარ დადგენილ ნორმებზე.

პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს საქმიანობით. არც სახელმწიფოს ყველა სფერო არის პოლიტიკური შინაარსის.

სამართალსა და პოლიტიკას შორის კავშირი გულისხმობს სამართლის ან პოლიტიკის პრიმატის აღიარებას.

სამართლის უპირობო პრიმატს აღიარებს ბუნებითი სამართლის თეორია, რომელიც

მოითხოვს პოლიტიკის ზეპოზიტიური მასშტაბით შეფასებას.
პოლიტიკის უპირობო პრიმატი არის ის, რასაც ტოტალიტარული სისტემები ეფუძნება.
ამ შემთხვევაში სამართალი განიხილება როგორც პოლიტიკის იარაღი.
პოლიტიკასა და სამართალს შორის კავშირს უარყოფს ცნებათა იურისპრუდენცია. ის
სამართალშემოქმედების პროცესიდან გამორიცხავდა ყველა
არაანალიტიკურ, არალოგიკურ და განსაკუთრებით პოლიტიკურ მოსაზრებებს.
სამართლის წმინდა თეორია ერთმანეთისგან არ წყვეტს სამართალსა და პოლიტიკას,
მაგრამ მოითხოვს პოლიტიკისაგან სამართლის მეცნიერების სრულ იზოლაციას.
სამართალი და პოლიტიკა სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისგან.
პოლიტიკური ურთიერთობა დინამიკურ-ირაციონალურია, ცდილობს მუდმივად
ცვალებად ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან შეგუებას.
სამართლის სტრუქტურა, პირიქით, სტატიკურ-რაციონალურია და ცდილობს შებოჭოს
ცოცხალი, დინამიური ძალები. ეს განსხვავება მათ შორის ფუნქციონალურ კავშირს
აყალიბებს.
პოლიტიკასა და სამართალს შორის არსებობს ორმხრივი კავშირი. მართლწესრიგი ვერ
ჩამოყალიბდება პოლიტიკისგან თავისუფალ სივრცეში და სამართალი ვერ შეასრულებს
საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიული რეგულატორის ფუნქციას, თუ
სოციალური სინამდვილის დამახასიათებელ კანონზომიერებებს არ გაითვალისწინებს.
კონფლიქტი სამართალსა და პოლიტიკას შორის წარმოიშობა მაშინ, როდესაც
ხელისუფლება მოქცეულია განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში.

იურიდიული მეცნიერება და პოლიტიკა

თანამედროვე იურისპრუდენცია ცდილობს გაემიჯნოს პოლიტიკურ და სხვა სოციალურ
მეცნიერებებს. სამართლის თეორია არ უარყოფს სამართალსა და პოლიტიკას შორის
არსებულ კავშირს. თანამედროვე სამართალში იკვეთება “პოლიტიკის იურიდიზაციისა
და სამართლის პოლიტიზაციის” ტენდენცია. სამართლის მეცნიერება ცდილობს
ჩამოაყალიბოს სამართალსა და პოლიტიკას შორის დაძლევის მექანიზმები. პოლიტიკა
აწარმოებს სამართალს და ამავედროულად ექვემდებარება მას.

სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებული კავშირი ვლინდება სასამართლო პრაქტიკაში. პოლიტიკაზე სასამართლო კონტროლი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპია.

პრინციპი Judicial self-restraint უკრძალავს მოსამართლეს “აკეთოს პოლიტიკა”. ეს პრინციპი არ ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება მოსილებას და არც კონსტიტუციური მართლმსაჯულება ზღუდავს სახელმწიფო ორგანოების თავისუფალი მოქმედების სფეროს. სამართლის მიერ ხელისუფლების ბოჭვა სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპია.

სამართალი ერთადერთი მასშტაბია, რომლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია შეაფასოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართლზომიერება. კონსტიტუციური სასამართლოს შეფასების მასშტაბი არის მხოლოდ კონსტიტუცია. არასამართლებრივი, პოლიტიკური შეხედულებები ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. ასევე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განსაზღვრავს კანონის სამართლიანობის მასშტაბს, მან პატივი უნდა სცეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის სამართლებრივი და არა პოლიტიკური აქტი. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეაფასებს კანონის პოლიტიკურ მიზანშეწონილებას. სასამართლო არ არკვევს, არის თუ არა კანონმდებლის მიღებული გადაწყვეტილება სწორი. ის მხოლოდ აკონტროლებს კონსტიტუციურ ნორმასთან შესაბამისობის საკითხს. მისი ერთ-ერთი მიზანი არის ისიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ პოზიტიური გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.